ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2020 წლის 31 იანვრის

სხდომის ოქმი №1

ქ. ახალციხე 2020 წელი, 31 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
ევა იველაშვილი	ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. ნინო ლომიძე
3. თამარ კაპანაძე
4. ზაზა ივანიძე
5. მაკა ბერიძე
6. ვასილ კვინცხაძე
7. ომარ ჯაყელი
8. შალვა ტაბატაძე
9. ციური ლაფაჩი
10. გიორგი ბუცხრიკიძე
11. ბელა ავალიშვილი
12. მერაბ ბერიძე
13. გივი კაპანაძე
14. გიორგი ანდღულაძე
15. ცირა მესხიშვილი
16. ნუგზარ თათეშვილი
17. სუსანა აკოფოვა
18. აშოთ კავალერიანი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ელენა ბეგიაშვილი
4. პოღოს მაგაკიანი
5. ასთხიკ სარქისიანი
6. დოდო ბერიძე
7. ვალიკო ბალიაშვილი
8. ჭიჭიკო გელაშვილი
9. ოგანეს უსტიან
10. ამალია სარქისიან
11. მარეხი ყურმაშვილი

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
2. საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა;
3. საბჭოს თავმჯდომარის გადადგომის შესახებ;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

მერმა საბჭოს წევრებთან 2019 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები შეაჯამა. მისი განცხადებით გასულ წელს, ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, მთის ფონდის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“, საგანმანათლებლო ინფარსტრუქტურის განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამების და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 17 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. დასრულებულ პროექტებს შორის, მერმა აქცენტი გააკეთა სოფელ წინუბნის წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობაზე, სადაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა. შედეგად მიმდებარე სოფლები ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყლით არიან უზრუნველყოფილი.

ზაზა მელიქიძემ ისაუბრა გარდამავალ პროექტებზეც, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე, ქალაქის #1 საბავშვო ბაღში მიმდინარე სამუშაოებზე და სოფლებში ამბულატორიების მშენებლობაზე. ამ დროისთვის ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია გრძელდება სოფლებში - თისელში, საძელში, ურაველსა და ხეოთში.

მერმა დეტალურად ისაუბრა იმ პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტში 2020 წელს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით. მან საბჭოს წევრებს გააცნო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დაგეგმილი მასშტაბური პროექტები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის", სკოლებისა და ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები.

2020 წელს, 5 288 000 ლარი მოხმარდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. მთლიანად დასრულდება ცენტრალური ქუჩების - რუსთაველის, ნათენაძის, შალვა ახალციხელის, კოსტავას, დიდიმამიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია, როგორც საფეხმავლო ბილიკების, ისე სამანქანო გზის მოწყობა. მოწესრიგდება თამარ მეფისა და რუსთაველის ძეგლების მიმდებარედ არსებული სკვერები. გაგრძელდება სოფლებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციაც, ესენია: ფერსა-მუგარეთის საავტომობილო გზა, ანდრიაწმინდის საავტომობილო გზა, წყრუთი-წირის საავტომობილო გზა (ხორციელდება 2 ეტაპად, 1-ლი ეტაპი 2020 წელს, მეორე კი 2021 წელს განხორციელდება), საავტომობილო გზა მეორე შახტის დასახლებაში, სკოლიდან რკინიგზის სადგურამდე.

მთლიანად დასრულდება ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია, მოეწყობა კლინიკა „იმედის" მიმდებარედ არსებული ჩიხები, ასევე მოასფალტდება რამდენიმე შიდა ქუჩა და ჩიხი ქალაქის მასშტაბით.

მიმდინარე წელს მოეწყობა ასევე, რაბათის, მარდისა და აბის უბნებში გარე განათების სისტემები.

საბოლოოდ აღმოიფხვრება ღია სანიაღვრე არხების პრობლემა რუსთაველისა და გვარამაძის ქუჩებზე. 2020 წელს დაგეგმილია ორი კოლექტორის რეაბილიტაცია, ესენია - ასპინძის ქუჩის ჩასახვევთან არსებული ღია კოლექტორი და გვარამაძის ქუჩაზე, მლაშიხევის კოლექტორი (მეორე ეტაპი).

გაგრძელდება ასევე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოებისა და სახურავების რეაბილიტაციაც. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება რუსთაველისა და ასპინძის ქუჩებზე არსებულ კორპუსებს.

სხდომაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სკოლებში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე. მერის თქმით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება აქტიური მუშაობა ძირითადი საჭიროებების მოგვარების მიზნით, კერძოდ მოწესრიგდება ცენტრალური გათბობის სისტემები, სველი წერტილები, სახურავები და სხვა.

საბჭოს სხდომაზე მერმა მესხეთის დრამატულ თეატრში განსახორციელებელ კაპიტალურ რეაბილიტაციაზეც გაამახვილა ყურადღება, მისი თქმით, პროექტირება უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიება პროექტის განხორციელების მიზნით.

მერის განცხადებით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, ასევე საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის, საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და უახლოეს ხანში იგეგმება სატენდერო პროცედურების დაწყება. მან ასევე, რუსთაველის ქუჩაზე, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გასართობი და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მშენებლობის შესახებ ისაუბრა.

2020 წელს, გრძელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაც", რომლის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 612 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები 6-დან 24 თებერვლამდე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება, ადგილობრივი მაცხოვრებლები ხმათა უმრავლესობით თავად გადაწყვეტენ, რას მოხმარდება თითოეული დასახლებისთვის გათვალისწინებული თანხა.

„ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის სოფლებში გაგრძელდება ამბულატორიების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. შედეგად ადგილობრივ მაცხოვრებლებს პირველადი სამედიცინო მომსახურება ადგილზე გაეწევათ.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი იდეები გააცნეს:

ნუგზარ თათეშვილმა დააყენა საკითხი ქალაქში ველო ბილიკების მოწყობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მერმა ქალაქის მასშტაბით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და რეკრეაციული ზონების მოწყობაზე გააკეთა აქცენტი, სადაც შესაძლებლობის ფარგლებში, ველო ბილიკების მოწყობაც იქნება გათვალისწინებული.

ცირა მესხიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ერუშეთის ეროვნული პარკის მშენებლობის შესახებ და ისაუბრა მის მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით.

ომარ ჯაყელმა დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტში და ქალაქ ახალციხეში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ისაუბრა ქალაქის ცენტრში, ამაღლების სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის აუცილებლობაზე. ასევე საბჭოს წევრებს, გააცნო იდეა ღვაწლმოსილი მოქალაქეებისათვის მემორიალური დაფის გახსნის შესახებ, ისაუბრა ალექსი ბექაურის დამსახურებაზე.

საბჭოს წევრმა და სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორის მოადგილემ **მერაბ ბერიძემ** ისაუბრა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლის მშენებლობის აუცილებლობაზე. ამასთანავე, დადებითად შეაფასა ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის მერის ზაზა მელიქიძის განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტების მხარდაჭერა და ხელშეწყობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მისივე თქმით, საერთო საცხოვრებლის

მშენებლობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უნივერსიტეტისა და ზოგადად მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა **ვასილ კვინცხაძემ,** ასევე ისაუბრა აბის დასახლებაში გარე განათების მოწყობისა და ქალაქის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ არსებული საფეხმავლო გზის მოწესრიგების აუცილებლობაზე.

აშოთ კავალერიანმა ქალაქში სანიაღვრე არხების მოწესრიგებაზე გაამახვილა ყურადღება.

შალვა ტაბატაძემ სამოქალაქო საბჭოს აქტიურობაზე და მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი.

სამოქალაქო საბჭოს სხდომის ბოლო საკითხად, წევრებს ეცნობათ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. შეთანხმდნენ, რომ ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი საბჭომ მომდევნო სხდომაზე განიხილოს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე

2 თენგიზ ხითარიშვილი

3 მალხაზ მანველიშვილი

4 ნინო ლომიძე

5 ელენა ბეგიაშვილი

6 თამარ კაპანაძე

7 ზაზა ივანიძე

8 პოღოს მაგაკიანი

9 ასთხიკ სარქისიანი

10 დოდო ბერიძე

11 მაკა ბერიძე

12 ვასილ კვინცხაძე

13 ომარ ჯაყელი

14 შალვა ტაბატაძე

15 ციური ლაფაჩი

16 გიორგი ბუცხრიკიძე

17 ბელა ავალიშვილი

18 მერაბ ბერიძე

19 გივი კაპანაძე

20 გიორგი ანდღულაძე

21 ცირა მესხიშვილი

22 ნუგზარ თათეშვილი

23 ვალიკო ბალიაშვილი

24 ჭიჭიკო გელაშვილი

25 სუსანა აკოფოვა

26 ოგანეს უსტიან

27 ამალია სარქისიან

28 აშოთ კავალერიან

29 მარეხი ყურმაშვილი